ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლიტერატურული პრემიის ,,2012 წლის საუკეთესო ქართული რომანის“ მისაღებად კონკურსის გამოცხადების, კონკურსის პირობებისა და ვადების შესახებ

”უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-17 მუხლის 1-ლი, მე-2 პუნქტისა და წარმომადგენლობითი საბჭოს 2011 წლის 30 დეკემბრის N13 სხდომის გადაწყვეტილების საფუძველზე

ვბრძანებ

1. გამოცხადდეს კონკურსი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლიტერატურული პრემიის ,,2012 წლის საუკეთესო ქართული რომანის“ მისაღებად.

2. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა, რომ რომანი იყოს 2011 წლის 5 დეკემბრიდან 2012 წლის 5 დეკემბრამდე ქართულ ენაზე გამოქვეყნებული. გამოქვეყნებად ჩაითვლება ასევე ელექტრონულ ფორმატში მისი საჯარო გამოქვეყნება.

3. საკონკურსო განაცხადის წარდგენა წარმოებს 2012 წლის 5 დეკემბრამდე ყოველდღე შაბათ–კვირის გარდა 10:00 საათიდან 18:00 საათამდე შემდეგ მისამართზე: ი.ჭავჭავაძის გამზირი №32, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წიგნის მაღაზია ,,ლიგამუსი“. ნაწარმოები წარმოდგენილ უნდა იქნას თერთმეტ ეგზემპლარად. თუკი რომანი გამოქვეყნებულია ელექტრონულად, მისი ლინკი უნდა იქნეს გაგზავნილი ზემოთ აღნიშნულ ვადებში შემდეგ ელექტრონული ფოსტის მისამართზე: pr@iliauni.edu.ge

4. კონკურსში გამარჯვებული მიიღებს პრემიას 10 000(ათი ათასი) ლარის ოდენობით.

5. ჟიურის წევრობის სურვილის შემთხვევაში უნივერსიტეტის სტუდენტი ან აკადემიური პერსონალი აგზავნის სამოტივაციო წერილს უნივერსიტეტის რექტორის ელექტრონულ მისამართზე rector@iliauni.edu.ge 2012 წლის 15 ნოემბრამდე. ჟიურის შემადგენლობას ირჩევს უნივერსიტეტის რექტორი. ჟიურის შემადგენლობა

კონფიდენციალურია და შედგება უნივერსიტეტის პროფესორებისა და სტუდენტებისგან.

6. კონტროლი ბრძანებაზე დაევალოს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსსა და წიგნის მაღაზია ,,ლიგამუსის“ადმინისტრატორს.

7. უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიებს დაევალოს ამ ბრძანებით განსაზღვრული ინფორმაციის უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსება.

8. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს ამ ბრძანების დაინტერესებულ პირთათვის საჯარო წესით გაცნობა.

9. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს, მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, იურიდიულ სამსახურს, ფინანსურ სამსახურს, წიგნის მაღაზია ,,ლიგამუსს“.

რექტორი გიგი თევზაძე